*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2024 წელი

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთისთვის და იაკობ ხვედელიანის ჩიხისთვის პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის ნიკოლოზ მაყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთს და იაკობ ხვედელიანის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის ნიკოლოზ მაყაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ნიკოლოზ მაყაშვილის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ნიკოლოზ მაყაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე



II ზონა
ნიკოლოზ მაყაშვილის ქ.
I ზონა

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

# STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

**ადრესატი:**

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032430524**
თარიღი: **31/10/2024**

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საკითხის დამუშავების ეტაპზე დადგინდა, რომ ხსენებულ დასახლებაში ერთ-ერთ უსახელო ქუჩას იაკობ ხვედელიანის სახელი მიენიჭა 1981 წელს. ქუჩა მოიცავ განაშენიანებულ ტერიტორიას ბ. ქებურიას დასახლებაში და აერთიანებს ერთმანეთთან ქალაქგეგმარებითი კავშირის არმქონე რამდენიმე მონაკვეთს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ნუმერაციის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განხორციელებისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს ქუჩისთვის ერთი დასაწყისისა და დასასრულის არსებობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ი. ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთი და ჩიხი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად და მიენიჭოს სახელწოდება.

გთხოვთ, ხსენებულ საკითხზე საქმისწარმოების გაგრძელებისთვის უზრუნველყოთ შესაბამისი სამუშაოების გატარება თქვენი კომპეტენციის ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)



**ნიკოლოზ (კოლა) მაყაშვილი**

**(1890-1920)**

**მაიორი, პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი**

იყო გენერალ აბელ მაყაშვილის შვილი. სწავლობდა ციმბირის კადეტთა კორპუსში, შემდეგ პავლეს სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო რუსეთის იმპერიის არმიის პორუჩიკის წოდება. შემდეგ იყო 43-ე საარტილერიო ბრიგადის შტაბის კაპიტანი და მე-2 დივიზიონის ადიუტანტი.

1916-1917 წლებში სწავლობდა სევასტოპოლის სამხედრო საავიაციო სასწავლებელსა და კავკასიის სამხედრო საავიაციო სკოლაში. 1918 წლის ნოემბრიდან სამხედრო სკოლის ავიაციის უფროსი გახდა, შემდეგ კი სამხედრო საავიაციო გუნდის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს. მონაწილეობდა ბრძოლებში გაგრის, ახალციხის ფრონტებზე, ომებში სომხეთთან და საბჭოთა აზერბაიჯანთან. დაიღუპა საცდელი ფრენის დროს თბილისის მახლობლად.